სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

28 მაისი 2024

N 21/5416

შპს განახლებადი ენერგიის რეგიონალურ კომპანიას
მის: თბილისი, სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი
V კვარტალი, კორპუსი N7, ბინა N36
ელ. ფოსტა: g.gogava@yahoo.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტოს 2024 წლის 20 მაისის N21/5004 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ, ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჯეჯორაზე შპს „განახლებადი ენერგიის რეგიონალური კომპანიის“ 15,23 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 1“ და 15,56 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 2“ ჰესების კასკადისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს, დამატებით გაცნობებთ შემდეგ შენიშვნებს:

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს ტყის ფართობზე დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის მიხედვით თუ საჭირო გახდება ტყის სტატუსის შეწყვეტა. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს კანონი „ტყის კოდექსის“ მე-13 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით დამტკიცებული „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის წესის“ შესაბამისად. ამავე დადგენილების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, ტყის სტატუსის შეწყვეტა (ამორიცხვა) შესაძლებელია შემდეგი მიზნობრიობით: **საქართველოს სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები; აგრეთვე, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განხორციელება, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის, ჰიდროკვანძებით, ელექტროსადგურებით, მილსადენებით, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისთვის ან/და ბუნებრივ რეზერვუარში მოწყობილი გაზის საცავით სარგებლობა, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, ელექტრონული ქსელებისა და არხების მშენებლობისთვის/ ფუნქციონირებისთვის ან ამისთვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესრულება.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტა წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზნობრიობასთან დაკავშირებით, კერძოდ: ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა სახის საქმიანობაა დაგეგმილი უშუალოდ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. ამასთანავე დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს დეტალური დასაბუთება, თუ რატომ არის საქმიანობის განხორციელება შეუძლებელი განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში;

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საპროექტო სათავე ნაგებობების მიმდებარედ და მილსადენის დერეფანში დაგეგმილია გრუნტის გზების მოწყობა, რომელიც გამოყენებული იქნება ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში სამომსახურეო დანიშნულებით. გზის ზუსტი პარამეტრები დაზუსტდება გზშ-ს ეტაპზე“. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მისასვლელი გზებისა და ნაპირსამაგრი კონსტრუქციის მშენებლობისას ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ხოლო, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები;
- დაზუსტებას საჭიროებს ფუღუროიანი ხეების ჭრის შემთხვევისას, ცხოველების, მათ შორის ხელფრთიანებისათვის მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოს N21/5004 წერილით მოთხოვნილ საკითხებთან ერთად, ამავე წერილით განსაზღვრულ ვადაში წარმოდგენა.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო